

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თეა გაბუნია

**პაროდონტის ქსოვილების ლაზერით მკურნალობის ზოგიერთი
იმუნოლოგიურ-მოლეკულური ასპექტი**

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი

ავტორეფერატი

თბილისი

2018

შესავალი

თემის აქტუალობა: პაროდონტის ანთებითი დაავადებები სტომატოლოგიის აქტუალური პრობლემაა, რაც განპირობებულია არა მარტო მათი ფართო გავრცელებით, ზოგიერთი მათგანის მძიმე მიმდინარეობით და ორგანიზმზე მათი უარყოფითი გავლენით, არამედ ამ დაავადებების პათოგენეზის დადგენის და ეფექტური, პათოგენეზურად დასაბუთებული თერაპიული სქემების აუცილებლობით.

პაროდონტის ქსოვილებზე სხვადასხვა ფაქტორების (თერმული, ქიმიური, მექანიკური, ტოქსიკური, ბაქტერიული და სხვ.) ზემოქმედების შედეგად შესაძლებელია ანთებითი პროცესების განვითარების ინიციაცია, რაც ლოკალურად ვლინდება ლიმფოციტებისა და მაკროფაგების დაგროვებით, პროანთებითი ციტოკინების, ზრდის ფაქტორებისა და ჟანგბადის რეაქციული ნერთების გაძლიერებული წარმოქმნით, უჯრედული და სუბუჯრედული მემბრანების დარღვევით, ფერმენტული კომპლექსების და სისტემების ფუნქციათა მოშლით, და, საბოლოოდ, პირის ღრუს ქსოვილების დაზიანებას იწვევს (Джемилева Т., 1999, Барер Г.М., 2000, Данилевский Н.Ф., Борисенко А.В., 2000 г., Stazka M., 2000, Боровский Е.В. 2003, Орехова Д.Ю., 2004, Ерохин И., Акулович А.В., 2009.).

პაროდონტის ანთებითი დაავადებების პათოგენეზის მრავალრიცხოვან ფაქტორს შორის აღსანიშნავია ოქსიდაციური სტრესის ინტენსიფიკაცია და იმუნური სისტემის შემადგენელი კომპონენტებისა და იმუნოკომპეტენტური უჯრედების აქტივაცია, რომელსაც ლორწოვანი გარსის ნორმალური ჰომეოსტაზის შენარჩუნების პროცესში წამყვანი მასტიმულირებელი და მარეგულირებელი როლი ეკუთვნის. პაროდონტის ანთებითი დაავადებების საწყის ეტაპზე ანტიგენრეაქციული ლიმფოციტების მიერ მიკრობების საერთო ანტიგენის – ლიპოპოლისაქარიდების ამოცნობის (Бондаренко А.Н., 1999, Блашкова С.Л., Макарова Н.А., 2010) საპასუხოდ განვითარებული ქემოტაქსისის შედეგად ინიცირდება დაგროვილი ნეიტროფილების და მაკროფაგების მიერ მიკროორგანიზმების ფაგოციტოზი, მათი გადამუშავება და ანტიგენური ინფორმაციის გადაცემა იმუნოკომპეტენტური უჯრედებისათვის (Иванов В.С., 1998, Модина Т.Н., 1998, Безрукова И.В., 2000, Gentler R.H., Pabst K.M., 2000, Seymour G.Y., Gemmell E.O. 2001, Шмагель К.В., Беряева О.В., Черешнев

V.A., 2003, Боровский Е.В. 2003, Орехова Д.Ю., 2004, Цепов Л.М., 2006, Барер Г.М, 2009, Ерохин И., Акулович А.В., 2009). იმუნური პასუხის ეს ფაზა წარმოადგენს შემდეგში განვითარებული სპეციფიკური იმუნური პასუხის საფუძველს, მისთვის დამახასიათებელი მიკროორგანიზმების ინტენსიური ფაგოციტოზისათვის თანმხლები კოლონომასტიმულირებელი ფაქტორის, ადჰეზიური რეცეპტორების და სხვადასხვა ფუნქციონალური აქტივობის მქონე ციტოკინების (IL1, IL-2, IL-4, IL-6, IL-10 IL-12, TNF α , INF α , INF γ და სხვ.) წარმოქმნის ინტენსიფიკაციით (Цепов Л. М., 1999, Ковальчук А.В., Ганковская А.В., Рогова М.А., 2000, Lappin D. E., Macleod C.P., Kerr A. et al., 2001, Seymour G.Y., Gemmell E.O. , 2001, Булгакова А.И., 2002, Цепов Л.М., Орехова Л.Ю. и др., 2005, Копельян Н.М.. 2010).

პაროდონტიტის მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი არსებობს, მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი არ არის სრულყოფილი, არ აღწევს ამ დაავადების სრულ განკურნებას, რაც განაპირობებს ახალი სამკურნალო გზების ძიების აუცილებლობას.

ლაზერი ფართოდ გამოიყენება მედიცინის სხვადასხვა სფეროში – ქირურგიაში, დერმატოლოგიაში, გინეკოლოგიაში, კარდიოლოგიაში, ოფთალმოლოგიაში, სტომატოლოგიაში და ა. შ. ლაზერის სამედიცინო გამოყენების უსაფრთხოება როგორც წესი დამოკიდებულია ოპერატორზე, პაციენტსა და ლაზერის აპარატზე. რა განაპირობებს ლაზერის ასეთ ფართო გამოყენებას მედიცინაში?

დაბალი ინტენსივობის ლაზერული გამოსხივება ხელს უწყობს მრავალი ტიპის უჯრედების (ფიბრობლასტების, კერატინოციტების, ადამიანის ოსტეობლასტების, ლიმფოციტების და ა. შ.) პროლიფერაციის ინტენსიფიკაციას, მაგრამ ამ მასტიმულირებელი მოქმედების მექანიზმები ბოლომდე დადგენილი არ არის. მიიჩნევა, რომ ლაზერის მიტოგენური ეფექტის მექანიზმი დაკავშირებულია სპეციფიკური ლიგანდდამოუკიდებელი რეცეპტორების, ლაზერის ენერგია-ინდუცირებული დიმერიზაციასთან და აქტივაციასთან, რაც იწვევს მათ შემდგომ აუტოფოსფორილირებას და რეაქციათა კასკადის ინიცირებას (Karu T., 1998, Xuejuan Gao and Da Xing, 2009), კალციუმის არხების აქტივაციას, უჯრედშიგა კალციუმის კონცენტრაციის ზრდას და უჯრედების პროლიფერაციას (Breitbart H, Levinshal T, Cohen N, Friedmann H, Lubart R, 1996, Duan R, Liu TC-Y, Li Y, Guo H, Yao L-B, 2001, Lubart R, Friedmann H, Sinykov M,

Cohen N, Breitbart H, 1997, Cohen N, Lubart R, Rubinstein S, Breitbart H, 1998, Kokoska ER, Wolff AB, Smith GS, Miller TA, 2000, Krizaj D, Copenhagen DR, 2002, Lavi R, Shainberg A, Friedmann H, Shneyvays V, Rickover O, Eichler M, Kaplan D, Lubart R, 2003.). მიტოქონდრიული სუნთქვითი ჯაჭვის მიერ წითელი და ინფრაწითელი სიხშირეების გამოსხივების შთანთქმის შედეგად იზრდება ჟანგბადის რეაქციული ნაერთების და ATF/cATP-ს წარმოქმნის ინტენსივობა, რაც ხელს უწყობს უჯრედების პროლიფერაციისა და დაცვითი რეაქციების მაინდუცირებელი სასიგნალო კასკადის ინიციაციას (Grossman N, Schneid N, Reuveni H, Halevy S, Lubart R., 1998, Karu T, 1999, Stadler I, Evans R, Kolb B, Naim JO, Narayan V, Buehner N, Lanzafame RJ, 2000, Kokoska ER, Wolff AB, Smith GS, Miller TA., 2000, Wong-Riley MTT, Bai X, Buchmann E, Whelan HT, 2001, Das DK, 2001, Hawkins D, Abrahamse H, 2006). ATP-ის და ცილების სინთეზის ინტენსიფიკაცია, ზრდის ფაქტორებისა და ციტოკინების ექსპრესია აინდუცირებს უჯრედების პროლიფერაციას (Alexandratou E, Yova D, Handris P, Kletsas D, Loukas S. 2002, Hu W-P, Wang J-J, Yu C-L, Lan C-CE, Chen G-S, Yu H-S, 2007). კვლევები მოწმობენ აგრეთვე იმის შესახებ, რომ წითელი ლაზერის ზემოქმედებით შესაძლებელია უჯრედული ჰომეოსტაზის ისეთი პარამეტრების მოდიფიკაცია, როგორცაა pH, რედოქს-სტატუსი, რედოქს-მგრძობიარე დაქტორების ექსპრესია (NFkB), რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს პროლიფერაციის ინტენსიფიკაციას. (Stadler I, Evans R, Kolb B, Naim JO, Narayan V, Buehner N, Lanzafame RJ, 2000, Lubart R, Breitbart H., 2000, Alexandratou E, Yova D, Handris P, Kletsas D, Loukas S, 2002, Karu TI. 2008). P

კვლევის მიზანი: ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა, პაროდონტიტის პათოგენეზში იმუნური სტატუსის ცვლილებების როლის გათვალისწინებით, ლაზერის სამკურნალო ეფექტი იმუნური უჯრედების (T-ლიმფოციტების) აქტივობაზე (პროლიფერაციის და აპოპტოზის ინტენსივობაზე, ციტოკინების ექსპრესიაზე, მიტოქონდრიული სუნთქვის ინტენსივობაზე).

ნაშრომის ამოცანები:

1. პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების სისხლის იმუნური სტატუსის შესწავლა (ლაზერით მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ) პრო- და ანტიანთებითი ციტოკინების ექსპრესიის მიხედვით.
2. პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების სისხლის ანტიოქსიდანტური სტატუსის განსაზღვრა (ლაზერით მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ) კატალაზასა და სუპეროქსიდდისმუტაზას აქტივობის მიხედვით.
3. პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების სისხლის ერითროციტების დეფორმაბელობის შესწავლა (ლაზერით მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ).
4. პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების სისხლის ერითროციტული მემბრანების ცილოვანი შემადგენლობის კვლევა (ლაზერით მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ).
5. პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების სისხლის ერითროციტული მემბრანების ცილების ძვრადობის კვლევა (ლაზერით მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ).
6. პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების სისხლის ერითროციტულ მასაში NO-ს შემცველობის განსაზღვრა (ლაზერით მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ).
7. *in vitro* Jurkat და MDCK უჯრედების მოდელოვანი სისტემაში ლაზერის თერაპიული რეჟიმის ზემოქმედების გავლენა (უჯრედების სიცოცხლისუნარიანობის შეფასება).
8. ღრძილების მდგომარეობის (ანთების არსებობა, მისი ინტენსივობა, ფერი, შეშუპება, ჰიპერტროფია, ღრძილებიდან სისხლდენა, წყლულების არსებობა, რეაქცია ტკივილზე და სხვ.), კბილების მორყევის ხარისხის, ყელის გაშიშვლების, სისხლდენის ხარისხის განსაზღვრა. კლინიკური მაჩვენებლების: ჰიგიენურ (ჰი), გინგივიტის (PMA) და პაროდონტული ინდექსების (პი) განსაზღვრა, ზედა და ქვედა ყბის ალვეოლური მორჩების ობიექტური შეფასების მიზნით რენტგენოლოგიურ გამოკვლევების (პირშიგნითა, პანორამული, ორთოპანტომოგრამა) ჩატარება.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე:

1. პირველად ნაჩვენებია, რომ ლაზერი უზრუნველ-ყოფს პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების სისხლში რედოქს-სისტემის აქტივობას (კატალაზას აქტივობის შემცირებას და ლიპოპეროქსიდების შემცველობის ზრდას).

2. პირველად გამოვლენილია სტატისტიკურად სარწმუნო დამოკიდებულება პაციენტების სისხლში ანთების მარკერების, IL10, TNF α , შემცველობასა და პერიოდონტალური ნაპრალის სიღრმეს შორის. IL10, TNF α ციტოკინების შემცველობა პაროდონტიტის სიმძიმის მარკერად.

3. ნაჩვენებია, რომ ლაზერით 7 დღიანი მკურნალობის ფონზე პერიფერიულ სისხლში IL2, IL10, TNF α -ს შემცველობა უახლოვდება საკონტროლო მაჩვენებლების დონეს, რაც მეტყველებს ლაზერის ანტიანთებითი მოქმედების შესახებ.

4. პირველად ნაჩვენებია, რომ საშუალო სიმძიმის პაროდონტიტის დროს ერთროციტული მემბრანების რეაქციული ლიზისის მაინჰიბირებელი MIRL (ერთროციტების ანტიგენის CD59) ცილის, ციტოჩონჩხის ცილების (4.1R ზოლის, მე-3 ზოლის ცილების და ანკირინის და აქტინის) შემცველობის შემცირება, მემბრანული ცილების ელექტროფორეზული მობილობის დაქვეითება, რაც ერთროციტების მექანიკური სტაბილობის, დეფორმებლობისა და ელასტიურობის დაქვეითების ადჰეზიურობის ზრდის შესახებ მეტყველებს. გამოვლენილია უარყოფითი კორელაცია მემბრანული ცილების ელექტროფორეზულ მობილობასა და პაროდონტიტის სიმძიმეს შორის.

5. პირველად გამოვლენილია ლაზერით 7 დღიანი მკურნალობის ეფექტის თავისებურებანი: ლაზერი ერთროციტული მემბრანის ციტოჩონჩხის სტრუქტურის აღდგენას (აქტინის, 4.9 ზოლის ცილოვანი კომპლექსის შემცველობის ნორმალიზაციას), უწყობს ხელს, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს დეფორმებლობის უნარიანობის ნორმალიზაციას და ლიზისის დაქვეითებას (მემბრანული MIRL ცილების შემცველობა და ელექტროფორეზული მობილობა დაქვეითებული რჩება).

6. პირველად გამოვლენილია უარყოფითი კორელაცია პაციენტების სისხლში ერთროციტების დეფორმებლობასა და NO-ს შემცველობას შორის. ლაზერით მკურნალობის ფონზე NO-ს მაჩვენებელი არ იცვლებოდა საწყის მაჩვენებლებთან შედარებით.

7. პირველად გაკეთებულია დასკვნა, რომ საშუალო სიმძიმის პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების ლაზერით 7 დღიანი მკურნალობის შედეგად მცირდება ანთებითი პროცესების ინტენსივობა მაგრამ არ სწორდება მიკროცირკულაციის დარღვევები.

8. Jurkat და MDCK უჯრედების მოდელურ სისტემებზე პირველად იქნა შესწავლილი რომ ლაზეროთერაპიის ეფექტი დამოკიდებულია უჯრედების პროლიფერაციაზე, უჯრედების ტიპზე და ინკუბაციის პირობებზე:

- ლაზერული სხივები დროდამოკიდებულად ხელს უწყობენ ინტაქტური Jurkat და MDCK უჯრედების პროლიფერაციის ინტენსიფიკაციას და სიცოცხლისუნარიანობის ზრდას;

- ლაზეროთერაპია მხოლოდ უმნიშვნელოდ ზრდის საშუალო ინტენსივობას ოქსიდაციური სტრესის პირობებში ინკუბირებული Jurkat უჯრედების სიცოცხლისუნარიანობას და არაეფექტურია ამ უჯრედების ძლიერი ოქსიდაციური სტრესის პირობებში ინკუბაციის დროს.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგენილია ციტოკინებისა და ოქსიდაციური სტრესის პარამეტრების, როგორც სისტემური ანთების მედიატორების, როლი პაროდონტიტის პათოგენეზში.

კლინიკო-ლაბორატორიული კვლევის შედეგები ადასტურებს ლაზეროთერაპიის მოქმედების ეფექტურობას ეპითელურ უჯრედებზე და გვაძლევს საშუალებას პრაქტიკული რეკომენდაცია გავუწიოთ მის გამოყენებას თერაპიულ სტომატოლოგიაში პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების პირის ღრუს ეპითელიუმის აღდგენის, მიკროცირკულაციის სტიმულაციის, ანთებისა და შეშუპების საწინააღმდეგო და იმუნური მეტაბოლიზმის მოდულაციის მიზნით.

რეკომენდაციას ვაძლევთ ლაზეროთერაპიის გამოყენებას დაბალი ინტენსივობის ლაზერით საშუალო სიმძიმის გენერალიზებული პაროდონტიტის კომპლექსურ მკურნალობაში. ეს მეთოდი მიზანმიმართული და ეფექტურია, რადგან საშუალებას გვაძლევს კომპლექსური მკურნალობის ფონზე მივაღწიოთ რემისიას მოკლე დროში.

ლაზეროთერაპია ასევე წარმოადგენს ეფექტურ მეთოდს ალერგიული სტატუსის და სომატური დაავადებების მქონე პაციენტებში, რომლებშიც უკუნაჩვენებია ქირურგიული ჩარევა.

პუბლიკაცია: დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 4 სამეცნიერო ნაშრომი.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: დისერტაცია მოიცავს შემდეგ თავებს: შესავალი, 3 თავი (ლიტერატურის მიმოხილვა, მასალა და კვლევის მეთოდები, საკუთარი გამოკვლევის შედეგები), შედეგების განხილვა, დასკვნა, პრაქტიკული რეკომენდაციები და ლიტერატურა.

გადმოცემულია ნაბეჭდ 139 გვერდზე. ნაშრომი ილუსტრირებულია 12 ცხრილით, 8 სურათით, 16 დიაგრამით, ციტირებული სამედიცინო ლიტერატურის ნუსხა შეიცავს 246 დასახელების წყაროს.

მასალა და მეთოდები

კლინიკური მასალის დახასიათება

გამოკვლეული იყო საშუალო სიმძიმის ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტით დაავადებული 45 ავადმყოფი (24 მამაკაცი, 21 ქალი) რაიმე თანდართული დაავადებების გარეშე (სტომატოლოგიური კლინიკა „ჯანმრთელი ღიმილი“ (თბილისი, საქართველო). საკონტროლო ჯგუფს შეადგენდა ინტაქტური პაროდონტის მქონე 30 პრაქტიკულად ჯანმრთელი პირი. როგორც დაკვირვების, ისე საკონტროლო ჯგუფში შემავალი პირების ასაკი მერყეობდა 20-დან 45 წლამდე. გამოკითხვით ვარკვევდით პაციენტების ჩივილებს და მათ ხასიათს, დაავადების ხანგრძლივობას, ადრე ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობას, ავადმყოფების პროფესიას, მათ მემკვიდრულ დატვირთვას. დათვალიერებით ვადგენდით ღრძილების მდგომარეობას (ანთების არსებობა, მისი ინტენსივობა, ფერი, შეშუპება, ჰიპერტროფია, ღრძილებიდან სისხლდენა, წყლულების არსებობა, რეაქცია ტკივილზე და სხვ.), კბილების მორყევის ხარისხს, ყელის გაშიშვლებას.

კლინიკური მაჩვენებლების ობიექტური შეფასებისას ვიყენებდით ჰიგიენურ (HI), გინგივიტის (PMA) და პაროდონტულ ინდექსებს (PI) (Боровский Е. В. 2003).

პირის ღრუს ჰიგიენისა და პაროდონტის მდგომარეობის შეფასებას ვახდენდით შემდეგი კლინიკური ჰიგიენის, პაროდონტული, პაპილარულ-მარგინალურ-ალვეოლური და გინგივიტის ინდექსებით (Фёдоров Ю. А. და Володкин В. В. 1976, Russel A.L. 1956, PMA, 1960).

ვსაზღვრავდით სისხლდენის ხარისხს. ზედა და ქვედა ყბის ალვეოლური მორჩების ობიექტური შეფასების მიზნით ვატარებდით რენტგენოლოგიურ გამოკვლევებს (პირშიგნითა, პანორამული, ორთოპანტომოგრამა). პირები, რომლებიც ხშირად მოიხმარენ ალკოჰოლს, ორსული ქალები და პაციენტები სხვადასხვა ქრონიკული დაავადებით გამოთიშული იყვნენ კვლევებიდან.

კვლევის პროტოკოლი დამტკიცებული იყო საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ეთიკური კომიტეტის მიერ.

პაციენტების ლაზერით მკურნალობის სქემა

ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტის მკურნალობის მიზნით პაციენტებს 7 დღის განმავლობაში უტარდებოდათ ლაზეროთერაპია აპარატით „ОПТОДАН“ – АЛСТ-01 (პირველი 4 დღე – 4 წუთის განმავლობაში დღეში ერთხელ, ხოლო შემდეგი 3 დღე – 3 წუთი დღეში ერთხელ).

პაციენტებს ლაზერით მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ ვუღებდით 5 მლ ვენურ სისხლს სტომატოლოგიური კლინიკის „ჯანმრთელი ღიმილის“ ბაზაზე. ჯანმრთელი მოხალისის სისხლს ვიღებდით ჰემატოლოგისა და ტრანსფუზიოლოგის ინსტიტუტის სისხლის ბანკის ბაზაზე (საქართველო, თბილისი).

სისხლში ვსაზღვრავდით ერითროციტული მემბრანების ცილოვან სპექტრს და ცილების ძვრადობას (ელექტროფორეზის მეთოდით), ერითროციტული მემბრანის დეფორმაბელობას, ოქსიდაციური სტრესის პარამეტრების (ერითროციტების კატალაზას აქტივობა, ლიპოპეროქსიდების

და თავისუფალი NO-ს შემცველობა), სისხლში პრო- და ანტიანთებითი ციტოკინების შემცველობა.

სისხლის ერითროციტების მემბრანების ცილოვანი შემადგენლობას ვსწავლობდით Novgorodseva-ს T. P. (2002), მეთოდით.

ცილების მობილობის სიჩქარეს ვსაზღვრავდით SDS-PAGE მეთოდით (Laemmli U.K., 1970) 15% გელის გამოყენებით.

ოქსიდაციური სტრესის პარამეტრების განსაზღვრის მიზნით ანტიოქსიდანტურ ფერმენტ კატალაზას აქტივობას ვსაზღვრავდით Aebi-ის მეთოდით (1984), რომელიც მოდიფიცირებულ იქნა M. A. Королюк, Л. И. Иванова-ს და სხვების მიერ (1988) სპექტროფოტომეტრის გამოყენებით, ერითროციტულ მასაში NO-ს შემცველობას ვსაზღვრავდით გრისის მეთოდით.

ერითროციტების დეფორმაბელობას ვსაზღვრავდით კომპიუტერულ ფილტერ-ფოტომეტრული მეთოდით.

სისხლის შრატში ციტოკინების TNF α , IL 2, IL 10-ს რაოდენობრივი განსაზღვრას ვახდენდით იმუნოფერმენტული (ELISA) მეთოდით იმუნოფერმენტულ ანალიზატორზე „Awarne“ WIKI რეაგენტების საშუალებით.

ექსპერიმენტული კვლევების მოდელირება

ჩვენს სამეცნიერო ნაშრომში დასახული მიზნის, პაროდონტიტის ლაზერით მკურნალობის ეფექტურობისა და მოქმედების მექანიზმების დადგენისათვის, გამოვიყენეთ სხვადასხვა უჯრედის – Jurkat და MDCK მოდელური სისტემები.

კვლევაში გამოყენებულია Jurkat (DSMZ-Deutsche Sammlung von Mikroorganismen und Zellkulturen (Germania)) და MDCK (ლუგარის ლაბორატორია, თბილისი, საქართველო). უჯრედები (ლუგარის ლაბორატორია, თბილისი, საქართველო).

Jurkat და MDCK უჯრედები სხივდებოდა ლაზერის გენერატორის „ОПТОДАН“- АЛСТ-01 (სიმძლავრე 5 ვტ) 3 -7 დღის განმავლობაში (4 წუთი დღეში).

ოქსიდაციური სტრესის მოდელირების მიზნით 30% წყალბადის ზეჟანგს (H_2O_2) (Sigma) ვუმატებდით Jurkat უჯრედების (დოზით 25 და $50\mu M$) (Stadler I, et al., 2000 Enukidze MG, et al., 2009 Chkhikvishvili I, et al., 2013 Chkhikvishvili I, et al., 2016;) და MDCK უჯრედების (დოზით 400 და $800\mu M$) საინკუბაციო არეში და ვახდენდით ინკუბაციას 24, 48 და 72 საათის განმავლობაში. საკონტროლო ჯგუფი წარმოდგენილი იყო ინტაქტური Jurkat და MDCK უჯრედებით.

უჯრედების პროლიფერაციულ აქტიურობას (სიცოცხლისუნარიანობის) ვსაზღვრავდით MTT ტესტით.

სტატისტიკურ ანალიზს ვაწარმოებდით „Statistical Package for Social Sciences (SPSS) for Windows (SPSS version 11.0)“ პაკეტის გამოყენებით. შედეგები გამოისახებოდა $\pm SD$ მნიშვნელობების სახით. სტატისტიკური სარწმუნოებისათვის შერჩეული იქნა სტატისტიკური სარწმუნოების ზღვარი 0.05 ($P < 0.05$).

შედეგები და მათი განხილვა

პაროდონტის ანთებითი დაავადებები სტომატოლოგიის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, რაც განპირობებულია მათი ფართო გავრცელებით, მძიმე მიმდინარეობით და ორგანიზმზე მათი უარყოფითი გავლენით.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა ლაზერის სამკურნალო ეფექტის დადგენა სისხლის ფორმიან უჯრედებზე (ერითროციტებსა და ლიმფოციტებზე).

ამ მიზნით ჩვენ შევისწავლეთ საშუალო სიმძიმის პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების სისხლის რედოქს-ბალანსის მაჩვენებლები, სისხლში პრო და ანტიანთებითი ციტოკინების (IL-2, IL-10, TNF α) შემცველობა. მიღებული შედეგების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა კორელაციები ღრძილის ქსოვილში ანთებითი პროცესების ინტენსივობას, სისხლში შესწავლილ პარამეტრების მნიშვნელობასა და პაროდონტიტის მიმდინარეობას შორის.

ადგილობრივი სტატუსის მაჩვენებლების კლინიკური გამოკვლევების ანალიზმა გვიჩვენა, რომ პრაქტიკულად ჯანმრთელ პირებში ჰიგიენური ინდექსი შეადგენდა 0-დან 1- მდე, ხოლო პაროდონტული და გინგივიტის ინდექსი (PMA) 0-დან – 0,1-მდე. საშუალო სიმძიმის ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტის დროს ავადმყოფები უჩიოდნენ კბილების წმენდისა და მკვრივი საკვების მიღების დროს მკვეთრად გამოხატულ სისხლდენას, უსიამოვნო სუნს პირის ღრუდან, კბილებზე ტემპერატურული და ქიმიური ზემოქმედების დროს მომატებულ მგრძობელობას, ღრძილების ფერისა და კონტურების შეცვლას, კბილის ყელის გაშიშვლებას და კბილების მორყევას.

ობიექტურად ვლინდებოდა კბილთაშუა დვრილების მკვეთრად გამოხატული ციანოზი, ღრძილის დვრილების შეშუპება, მათი ინფილტრაცია და გრანულაციური ქსოვილის წარმოქმნა. აღინიშნებოდა კბილის ნადებები, ღრძილზედა და ღრძილქვეშა ქვები, ღრძილის დვრილისა და ღრძილის კიდის კონტურების მოშლა (სურ. 5,7) ღრძილი შეხებისას იყო სისხლმდენი, პაროდონტული ჯიბის სიღრმე 5 მმ-მდე აღწევდა, კბილების მორყევა გამოხატული იყო I და II ხარისხით.

ორთოპანტომოგრამაზე ვლინდებოდა ზედა და ქვედა ყბის ალვეოლური ნაწილის არათანაბარი დესტრუქცია, კბილთაშუა ძგიდეების შემცირება ფესვის სიგრძის 1/3-1/2-ზე და ოსტეოპოროზის უბნები, აქტიურ ფაზაში კი – ძგიდეების არამკვეთრი კონტურები.

ადგილობრივი სტატუსის მაჩვენებლების კლინიკური გამოკვლევების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საშუალო სიმძიმის პაროდონტიტით დაავადებულ პაციენტებში ჰიგიენური ინდექსი შეადგენდა 2.1-დან 3.5-მდე, ხოლო პაროდონტის ქსოვილით პრაქტიკულად ჯანმრთელ პირებში ჰიგიენური ინდექსი შეადგენდა 0-დან 1-მდე. საშუალო სიმძიმის პაროდონტიტით დაავადებულ პაციენტებში კლინიკური ინდექსები (პმა, პი და პი) მკურნალობამდე აღემატებოდა ნორმის ზღვარს, რაც ადასტურებდა ანთებითი პროცესის არსებობას. ლაზეროთერაპიის ჩატარების შემდეგ კლინიკური ინდექსების კლებამ (პი-40%, პი-11%, პმა-50%) დაადასტურა ლაზეროთერაპიის ანტიანთებითი ეფექტურობა.

ჩვენ ჩავატარეთ კორელაციური ანალიზი პაციენტებში პაროდონტიტის სიმძიმესა და პერიოდონტალური ნაპრალის სიღრმეს შორის, რომლის თანახმად პაროდონტიტით დაავადებულ პაციენტებში ვლინდება

დადებითი კორელაცია პერიოდონტალური ნაპრალის სიღრმესა და პაროდონტიტის სიმძიმეს შორის.

ჩვენ შევისწავლეთ სისხლში ანთების მაჩვენებლების (ანტიოქსიდანტური სისტემის აქტივობა, ციტოკინების TNF α , IL-2 და IL-10 ბალანსი) პაროდონტიტით დაავადებულ პაციენტებში. დადგინდა, რომ პაროდონტიტის დროს პერიფერიული სისხლის ერითროციტების კატალაზას აქტივობა სტატისტიკურად მცირდება საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით, იზრდება ლიპოპეროქსიდრადიკალების შემცველობა. ლაზერით 7 დღიანი მკურნალობის შემდეგ კატალაზას აქტივობა იზრდება საკონტროლო მაჩვენებლების დონემდე, ქვეითდება ლიპოპეროქსიდრადიკალების შემცველობა. აღნიშნული შედეგები მიუთითებს ლაზერით მკურნალობის ფონზე საშუალო სიმძიმის პაროდონტიტის მქონე პაციენტების პერიფერიული სისხლის ერითროციტებში ოქსიდაციური სტრესის ინტენსივობის დაქვეითების შესახებ.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პაროდონტიტის დროს სისხლში მკვეთრად იზრდება IL-2-ის შემცველობა, რაც ზოგადად ანთების განვითარებაზე მიუთითებს. IL-10-ისა და TNF α -ს დონე საკონტროლო ჯგუფის პაციენტების სისხლში იყო ძალიან დაბალი. პაროდონტიტის დროს სისხლში ვლინდება IL-10-ის და TNF α -ს შემცველობის მკვეთრი მომატება. აღნიშნული გვაძლევს საშუალებას განვიხილოთ სისხლში IL-10-ის და TNF α -ს შემცველობა პაროდონტიტის განვითარების სიმძიმის ამსახველი მარკერის როლში.

ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე პაციენტების სისხლში კატალაზას აქტივობისა და IL2-ის შემცველობის ცვლილებები შეგვიძლია არასპეციფიკური, ხოლო IL10, TNF α -ს შემცველობის ცვლილებები პაროდონტიტის სიმძიმის ამსახველი სპეციფიკური მარკერების რიგს მივაკუთვნოთ.

აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია გავუწიოთ რეკომენდაცია პაროდონტიტით დაავადებულ პაციენტებში ციტოკინების, როგორც სისტემური ანთების მედიატორების, პროფილის ანალიზს ამ დაავადების ადრეული დიაგნოსტიკისა და დამძიმების რისკის დადგენის მიზნით.

ლაზერით 7 დღიანი მკურნალობის ფონზე პერიფერიულ სისხლში IL2, IL10, TNF α -ს შემცველობა უახლოვდება საკონტროლო მაჩვენებლებს.

ბის დონეს, რაც მეტყველებს ლაზერის ანტიანთებითი მოქმედების შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პაროდონტიტის პათოგენეზში ორგანიზმის და კერძოდ პირის ღრუს ლოკალურ დაცვით უნარიანობას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ამ მხრივ დიდ როლს ასრულებს პირის ღრუს სისხლ-მომარაგების პროცესები, რომელიც განსაზღვრავს ქსოვილების პროლიფერაციის ნორმალური დონის შენარჩუნებას. სწორედ სისხლმარღვების არარეგულარული განაწილება და დეგენერაციული ცვლილებები, ხელს უშლის ჟანგბადის დიფუზიას, ტოქსიკური მეტაბოლიტების ელიმინაციას და პაროდონტის ქსოვილებში ფიზიოლოგიური წონასწორობის დარღვევას, განაპირობებს ადაპტაციურ-კომპენსატორული რეაქციების დაქვეითებას, მიკრობული ინფექციის გენერალიზაციას და პაროდონტის ქსოვილებში დაზიანების გაღრმავებას. სისხლის მიმოქცევის რეგულაციაში ერთროციტებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საშუალო სიმძიმის პაროდონტიტით დაავადებულთა პერიფერიული სისხლის ერთროციტების მემბრანების შემადგენლობაში შემცირებულია დაბალი (20-45 კდა) და მაღალი (55, 97, 200, 116 კდა) მოლეკულური მასის მქონე ცილების შემცველობა ჯანმრთელი პირებისათვის დამახასიათებელი შესაბამის პარამეტრებთან შედარებით.

პერიფერიული სისხლის ერთროციტების მემბრანების შემადგენლობაში დაბალი მოლეკულური მასის (18-22 კდა) ცილების შემცველობის შემცირება განპირობებული შეიძლება იყოს რეაქციული ლიზისის ცილის (MIRL) მემბრანული ინჰიბიტორის (RBC ერთროციტების ანტიგენის CD59). შემცირებით (Ninomiya H, Stewart BH, Rollins SA, Zhao J, Bothwell AL, Sims PJ., 1992). MIRL ცილა – გლიკოზილ ფოსფოტიდინოზიტოლ-შეკავშირებული მემბრანული გლიკოპროტეინია (ერთროციტების ანტიგენის CD59), რომელიც უჯრედების კომპლემენტ-ინდუცირებული ლიზისის ინჰიბიციას უზრუნველყოფს. პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების პერიფერიული სისხლის ერთროციტულ მემბრანაში MIRL ცილის შემცველობის შემცირება განაპირობებს მათი სტაბილობის დაქვეითებას.

პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების პერიფერიული სისხლის ერთროციტების მემბრანებში დიდი მოლეკულური მასის მქონე ცილების (55, 97, 116, 200 კდა) შემცველობის შემცირება განპირობებული

უნდა იყოს 4.1R ზოლის (78 კდა), 4.2 ზოლის (72კდა, 100 კდა, 105 კდა), 3 ზოლის (90 - 100 კდა) ცილების და ანკირინის (200-215 კდა) შემცველობის შემცირებით. ყველა ეს ცილა აქტიურად მონაწილეობს ერთროციტების მექანიკური სტაბილობის, დეფორმაბელობისა და ფორმის რეგულაციაში. ამ ცილების შემცველობის დაქვეითება შეიძლება გამოიწვიოს ამ უჯრედების დეფორმაბელობის დაქვეითება და მიკროცირკულაციის მოშლა.

პერიფერიული სისხლის ერთროციტების მემბრანებში დაბალი მოლეკულური მასის (29-45 კდა) ცილები შეიძლება მივაკუთვნოთ ტროპომიოზინს (იზოფორმა მასით 27 და 29 კდა), გლოკოფორინ C-ს (25 კდა), აქტინს (სუბერთეულები მასით 43 კდა) და 4.9 ზოლის ცილა (48 კდა). ციტოჩონჩხის ცილები – სპექტრინი, აქტინი, 4.9 ზოლის ცილა მემბრანული ლიპიდებთან სპეციფიკური ურთიერთქმედების შედეგად ერთროციტული მემბრანის მაღალ დეფორმაბელობის უნარიანობას და მექანიკური სტრესის პირობებში მის სტაბილობას განსაზღვრავს.

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ პაროდონტიტის დროს ერთროციტულ მემბრანაში ქვეითდება ერთროციტების ანტიგენის CD59, რაც მათ მდგრადობის დაქვეითებას და ლიზისისადმი მიდრეკილებას განაპირობებს. პაროდონტიტის დროს ერთროციტულ მემბრანაში დამატებით მცირდება დიდი მოლეკულური მასის მქონე ციტოჩონჩხის ცილების (4.1R ზოლის, მე-3 ზოლის ცილების და ანკირინის) შემცველობა, რაც ერთროციტების მექანიკური სტაბილობის, დეფორმაბელობისა და ელასტიურობის დაქვეითებას განაპირობებს.

ლაზერით 7 დღიანი მკურნალობის ფონზე ერთროციტულ მემბრანაში ცილების მოლეკულური მასით 29, 34, 45 კდა შემცველობის მომატება საკონტროლო მაჩვენებლების დონემდე და ცილის მოლეკულური მასით 24 კდა შემცველობის მნიშვნელოვანი ზრდა აქტინის, ტროპომიოზინის (იზოფორმების 27 და 29 კდა) და 4.9 ზოლის ცილოვანი კომპლექსის სტრუქტურისა და ერთროციტული მემბრანის ციტოჩონჩხის სტრუქტურის აღდგენაზე, ერთროციტების დეფორმაბელობის ზრდასა და მიკროცირკულაციის აღდგენაზეა დამოკიდებული (Luna, EJ and AL Hitt, , 1991).

მაღალი მოლეკულური მასის ცილების ფრაქციის (200, 116, 97, 55კდა) შემცველობის შემცირება ვლინდება სხვადასხვა სიმძიმის პაროდონტიტით დაავადებულ პაციენტებში. 4.1 ზოლის ცილა (78 კდა), ზოლის ცი-

ლა 4.2 (72 კდა), ადუცინი (იზოფორმები 100 და 105 კდა), განპირობებული შეიძლება იყოს მე-3 ზოლის ცილის (90 – 100კდა) და ანკირინის (200-215 კდა) შემცველობის შემცირებით. ყველა ეს ცილა აქტიურად მონაწილეობს ერთროციტების მექანიკური სტაბილობის, დეფორმაბელობის და ერთროციტის ფორმის რეგულაციაში. მათი შემცველობის დაქვეითებამ შეიძლება გამოიწვიოს ერთროციტების დეფორმაბელობის დარღვევა.

მაშასადამე, პაროდონტიტით დაავადებულთა პერიფერიული სისხლის ერთროციტების მემბრანებში ვლინდება რეაქციული ლიზისის MIRL ცილის, ერთროციტების ანტიგენის CD59 შემცველობის შემცირება და დიდი მოლეკულური მასის მქონე 4.1R ზოლის, მე-3 ზოლის ცილების და ანკირინის შემცველობის შემცირება, რაც ერთროციტების ციტოჩონჩხის მექანიკური სტაბილობის, დეფორმაბელობისა და ელასტიურობის დაქვეითებას და მიკროცირკულაციის მოშლას განაპირობებს.

საშუალო სიმძიმის პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების ლაზერით 7 დღიანი მკურნალობის შემდეგ პერიფერიული სისხლის ერთროციტების მემბრანების ცილოვანი შემადგენლობა მნიშვნელოვნად იცვლება. კერძოდ იზრდება ცილების კონცენტრაცია მოლეკულური მასით 36-45 კდა (აქტინის (სუბერთეულები მასით 43 კდა) და 4.9 ზოლის ცილა (48 კდა). ციტოჩონჩხის ცილები – სპექტრინი, აქტინი, 4.9 ზოლის ცილა მემბრანულ ლიპიდებთან სპეციფიკური ურთიერთქმედების შედეგად ერთროციტული მემბრანის მაღალი დეფორმაბელობის უნარიანობას და მექანიკური სტრესის პირობებში მის სტაბილობას განსაზღვრავს), მაშინ როდესაც ცილების შემცველობა მოლეკულური მასით 20 კდა (რეაქციული ლიზისის ცილის (MIRL) მემბრანული ინჰიბიტორის (RBC ერთროციტების ანტიგენის CD59)) და დიდი მოლეკულური მასის მქონე ცილების (55, 97, 116, 200 კდა – 4.1R ზოლის (78 კდა), 4.2 ზოლის (72კდა, 100 კდა, 105 კდა), 3 ზოლის (90 - 100 კდა) ცილების და ანკირინის (200-215 კდა) (ყველა ეს ცილა აქტიურად მონაწილეობს ერთროციტების მექანიკური სტაბილობის, დეფორმაბელობისა და ფორმის რეგულაციაში)) შემცველობა მნიშვნელოვნად მცირდება.

ლაზერით 7 დღიანი მკურნალობის ფონზე ადგილი აქვს ერთროციტულ მემბრანაში აქტინის და 4.9 ზოლის ცილოვანი კომპლექსის შემცველობის მომატებას, რაც მიუთითებს ერთროციტული მემბრანის ციტო-

ჩონჩხის სტრუქტურის აღდგენაზე. ამავე დროს ლაზერის ზემოქმედების ფონზე მცირდება IR, 4.2, 3 ზოლის ცილების, ანკირინისა და რეაქციული ლიზისის ცილის (MIRL) შემცველობა, რაც ერთროციტების მექანიკური სტაბილობის და დეფორმაბელობის დაქვეითებას და მათი ლიზისის ინტენსიფიკაციას განაპირობებს, ანუ შეიძლება დავასკვნათ, რომ ლაზეროთერაპია, თუმცა ხელს უწყობს ერთროციტების ციტოჩონჩხის სტრუქტურის მოწესრიგებას, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს მათი სტაბილობის და დეფორმაბელობის აღდგენას.

ჩვენ შევისწავლეთ პერიფერიული სისხლის ერთროციტების მემბრანული ცილების ელექტროფორეზული მობილობა პაროდონტიტით დაავადებულ პაციენტებში და ლაზეროთერაპიის შემდეგ. მოყვანილი შედეგებიდან გამომდინარეობს, საშუალო სიმძიმის პაროდონტიტის დროს ელექტროფორეზული ერთროციტების მემბრანული ცილების ელექტროფორეზული მობილობა 15%-ით მცირდება საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით.

საშუალო სიმძიმის პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების პერიფერიული სისხლის ერთროციტული მემბრანების ელექტროფორეზული მობილობის დაქვეითება შეიძლება განპირობებული იყოს გლიკოფორინის შემცველობის დაქვეითებით. ცილების ელექტროფორეზული მობილობა, როგორც წესი, იზრდება ცილების მუხტის ზრდასთან ერთად, რომელიც დამოკიდებულია ამ ცილების ამინომჟავურ შემადგენლობაზე (ფიზიოლოგიურ პირობებში არგინინი, ლიზინი დადებითადაა დამუხტული, ხოლო ასპარტატი, გლუტამატი – უარყოფითი მუხტის მატარებლები არიან) (Taniguchi N. 2010). მემბრანული ცილების ელექტროფორეზული მობილობის ცვლილებები პირდაპირ კავშირშია მისი მემბრანის სტრუქტურულ ცვლილებებთან – სასიგნალო ცილების კონფორმაციის, ორიენტაციის შეცვლასთან, უჯრედების პროლიფერაციის, სიცოცხლისუნარიანობის მოდიფიკაციასთან.

საშუალო სიმძიმის პაროდონტიტის დროს ლაზერით მკურნალობა არ ახდენს ზეგავლენას ელექტროფორეზული ერთროციტების მემბრანული ცილების ელექტროფორეზული მობილობის მნიშვნელობაზე.

საშუალო სიმძიმის პაროდონტიტის დროს გამოვლენილია ერთროციტების მემბრანული ცილების ელექტროფორეზული მობილობის დაქვეითება, რაც თუმცა არ ახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას ერთროციტების დეფორმაბელობასა და ფორმის ცვლილებებზე, მაგრამ მნიშვნე-

ლოვანია ერთროციტების ადჰეზიისა და თრომბების ფორმირების მექანიზმში.

პაროდონტიტით დაავადებულ პაციენტებში ჩვენ მიერ გამოვლენილია კორელაცია მემბრანული ცილების ელექტროფორეზული მობილობის დაქვეითებასა და პაროდონტიტის სიმძიმეს შორის, რაც შეიძლება განპირობებული იყოს გლიკოფორინის შემცველობის შემცირებით და შეიძლება გამოიწვიოს ერთროციტების ადჰეზია ენდოთელიუმთან და მიკროცირკულაციის დარღვევა. ლაზერით 7 დღიანი მკურნალობა არ ახდენს ზემოქმედებას ერთროციტების მემბრანული ცილების მობილობაზე.

დადგენილია, რომ პერიფერიული სისხლის ერთროციტების დეფორმებლობა საშუალო სიმძიმის პაროდონტიტის დროს მნიშვნელოვნად მცირდება საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პაროდონტიტის დროს ერთროციტულ მემბრანაში გამოვლენილია ცილოვანი შემადგენლობის დარღვევები: CD59, 4.1R ზოლის, მე-3 ზოლის ცილების და ანკირინის შემცველობის შემცირების გარდა გამოვლენილია სპექტრინის, ტროპომიოზინის შემცველობის შემცირება. აღნიშნული ცვლილებები ხელს უწყობს ერთროციტული მემბრანების მდგრადობის დაქვეითებას, მათი ციტოჩონჩხის სტრუქტურების დესტაბილიზაციას. შესაბამისად, ამ პირობებში ერთროციტების ლიზისისადმი მიდრეკილების ზრდასთან ერთად მცირდება მათი დეფორმებლობის უნარი, რაც მათ დაზიანების ალბათობას ზრდის, იზრდება სისხლის სხვა უჯრედების, ან ენდოთელიუმის ადჰეზიურობის უნარი, რაც კოლტების წარმოქმნას და მიკროცირკულაციის მოშლას უწყობს ხელს. ლაზეროთერაპია ვერ ახდენს ზემოქმედებას ერთროციტების დეფორმებლობაზე.

ერთროციტების დეფორმებლობის რეგულაციაში თავისუფალი აზოტის ჟანგს (NO) მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. NO-ს ძირითადი წყარო – ენდოთელური უჯრედებია, სისხლის უჯრედებსაც (თრომბოციტებს, მონოციტებს და ერთროციტებს) გააჩნია NO-ს წარმოქმნის უნარი. Stamler-ის (1996) მიერ ნაჩვენები იქნა, რომ ერთროციტებს შეუძლია ენდოთელური უჯრედების მიერ სინთეზირებული NO-ს შთანთქვა, ისინი ახორციელებენ ნიტროზილირებული ჰემოგლობინის ფორმების ტრანსპორტს და მონაწილეობენ მისი ბიოაქტივობის რეგულაციაში (Jia L,

Bonaventura C, Bonaventura J, Stamler , 1996, Jia L, Bonaventura C, Bonaventura J, Stamler JS., 1996; Doctor A, et al., 2005).

NO ასრულებს აუტოკრინული მედიატორის როლს, მონაწილეობს, ამ უჯრედების მემბრანის ელასტიკურობის რეგულაციაში, აუცილებელია ამ უჯრედების ვიწრო კაპილარებში მოძრაობისათვის. NO-ს ერთროციტების დეფორმებლობაზე ზემოქმედების მექანიზმი ბოლომდე დადგენილი არ არის. ერთროციტული NO აუტოკრინული მედიატორის როლში მონაწილეობს ერთროციტების დეფორმებლობის რეგულაციაში, აუცილებელია ამ უჯრედების ვიწრო კაპილარებში მოძრაობისათვის (Bor-Kucukatay M, et al. , 2006, Ulker P, Gunduz F, Meiselman HJ, Baskurt OK, 2012).

ჩვენ შევისწავლეთ NO-ს შემცველობა პაროდონტიტით დაავადებული პაციენტებში პერიფერიული სისხლის ერთროციტებში. თავისუფალი NO-ს შემცველობა საშუალო სიმძიმის პაროდონტიტით დაავადებულ პაციენტებში მცირდება საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით. კვლევაში არ გამოვლინდა NO-ს შემცველობის მაჩვენებლების ასაკ- და სქეს-დამოკიდებული ცვლილებები; ლაზერით მკურნალობის ფონზე NO-ს მაჩვენებელი არ იცვლებოდა საწყის მაჩვენებლებთან შედარებით.

კორელაციური ანალიზის შედეგად გამოვლენილია სტატისტიკურად სარწმუნო კორელაცია ერთროციტების დეფორმებლობასა და NO-ს შემცველობას შორის ($r = 0,6470$; $p = 0,168$) პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების სისხლში.

კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების პერიფერიულ სისხლში არსებობს დადებითი კორელაცია ერთროციტების დეფორმებლობასა და NO-ს შემცველობას შორის.

ლაზერით 7 დღიანი მკურნალობის ფონზე პერიფერიულ სისხლში ვლინდება კატალაზას აქტივობის ნორმალიზაცია და ლიპოპეროქსიდების შემცველობის დაქვეითება, IL2, IL10, TNF α -ს შემცველობა უახლოვდება საკონტროლო მაჩვენებლების დონეს, რაც მეტყველებს ლაზერის ანტიანთებითი მოქმედების შესახებ.

ლაზერით 7 დღიანი მკურნალობის ფონზე ერთროციტულ მემბრანაში აღდგება აქტინის, 4.9 ზოლის ცილოვანი კომპლექსის შემცველობა, რაც ერთროციტული მემბრანის ციტოჩონჩხის სტრუქტურის აღდგენას

განაპირობებს; მემბრანული ცილების ელექტროფორეზული მობილობა დაქვეითებული რჩება, რაც ერთროციტების დეფორმაბელობის უნარიანობის დაქვეითებაზე მიუთითებს.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების ლაზერით 7 დღიანი მკურნალობის შედეგად მცირდება ანთებითი პროცესების ინტენსივობა, მაგრამ არ სწორდება მიკროცირკულაციის დარღვევები.

ლაზერით მკურნალობის ანტიანთებითი ეფექტის მექანიზმების დასადგენად ჩვენ შევისწავლეთ ლაზერის ზემოქმედების ეფექტები ინტაქტურ და ინკუბირებულ ოქსიდაციური სტრესის პირობებში MDCK (ეპითელური უჯრედების მოდელი) და Jurkat უჯრედების კულტურაზე.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ლაზეროთერაპიის ეფექტი დამოკიდებულია უჯრედების პროლიფერაციაზე, უჯრედების ტიპზე და ინკუბაციის პირობებზე. ლაზერული სხივები დროდამოკიდებულად ხელს უწყობენ ინტაქტური Jurkat და MDCK უჯრედების პროლიფერაციის ინტენსიფიკაციას და სიცოცხლისუნარიანობის ზრდას. განსხვავებულია Jurkat და MDCK უჯრედების მდგრადობა ოქსიდაციური სტრესის მიმართ. Jurkat უჯრედები უფრო მგრძობიარეა ოქსიდაციური სტრესის მიმართ. ლაზეროთერაპია მხოლოდ უმნიშვნელოდ ზრდის საშუალო ინტენსივობის ოქსიდაციური სტრესის პირობებში ინკუბირებული Jurkat უჯრედების სიცოცხლისუნარიანობას და არაეფექტურია ამ უჯრედების ძლიერი ოქსიდაციური სტრესის პირობებში ინკუბაციის დროს.

ეპითელური MDCK უჯრედები უფრო მდგრადი აღმოჩნდა ოქსიდაციური სტრესის მიმართ; ამ უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა საგრძნობლად დაქვეითდა მხოლოდ ძლიერი ოქსიდაციური სტრესის (წყალბადის ზეჟანგის მაღალი დოზები) პირობებში. ლაზეროთერაპიის პოზიტიური ეფექტი გამოვლინდა ამ უჯრედების წყალბადის ზეჟანგის როგორც საშუალო, ასევე მაღალ დოზებთან ინკუბაციის დროსაც.

ჩვენი ექსპერიმენტული კვლევის შედეგები ადასტურებს ლაზეროთერაპიის ეფექტურობას პაროდონტიტის მკურნალობის დროს (სურ. 6, 8) პირის ღრუს ეპითელური შრის აღდგენისა და იმუნური მეტაბოლიზმის მოდულაციის მიზნით.

ლაზეროთერაპიის გამოყენება (დაბალი ინტენსივობის ლაზერით) საშუალო სიმძიმის გენერალიზებული პაროდონტიტით დაავადებულ პაციენტების კომპლექსური მკურნალობისას მიზანმიმართული და ეფექტურია, რადგან საშუალებას გვაძლევს კონსერვატიული მკურნალობის ეტაპზე მივაღწიოთ რემისიას მოკლე დროში, რასაც ადასტურებს კლინიკური და იმუნოლოგიური კვლევის შედეგები (კლინიკური ინდექსები: პი-40%, პი-11%, პმა-50%).

ლაზეროთერაპია ასევე ეფექტური მკურნალობის მეთოდია ალერგიული სტატუსის და სომატური დაავადებების მქონე პაციენტებში, რომლებთანაც უკუნაჩვენებია რადიკალური ქირურგიული ჩარევა..

დასკვნები

1. პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების სისხლში გამოვლენილია რედოქს-სისტემის აქტივობის ცვლილებები (კატალაზას აქტივობის შემცირება და ლიპოპეროქსიდების შემცველობის ზრდა), რაც ორგანიზმში ოქსიდაციური სტრესის განვითარების შესახებ მეტყველებს; ლაზერით მკურნალობის ფონზე ადგილი აქვს რედოქს-მაჩვენებლების ნორმალიზაციას.

2. საშუალო სიმძიმის პაროდონტიტის დროს სისხლში გამოვლენილია IL2-ის IL10-ის და TNF α -ს შემცველობის ზრდა, რაც ანთებითი პროცესის გენერალიზაციის შესახებ მეტყველებს. გამოვლენილია სტატისტიკურად სარწმუნო დამოკიდებულება პაციენტების სისხლში ანთების მარკერების, IL10, TNF α შემცველობასა და პერიოდონტალური ნაპრალის სიღრმეს შორის.

IL10, TNF α ციტოკინების შემცველობა მიჩნეულია პაროდონტიტის სიმძიმის მარკერად.

3. ლაზერით 7 დღიანი მკურნალობის ფონზე პერიფერიულ სისხლში IL2, IL10, TNF α -ს შემცველობა უახლოვდება საკონტროლო მაჩვენებლების დონეს, რაც მეტყველებს ლაზერის ანტიანთებითი მოქმედების შესახებ.

4. საშუალო სიმძიმის პაროდონტიტის დროს ერთროციტული მემბრანების რეექციული ლიზისის მაინჰიბირებელი MIRC (ერთროციტების ანტიგენის CD59) ცილის, ციტოჩონჩხის ცილების (4.1R ზოლის, მე-3

ზოლის ცილების და ანკირინის და აქტინის) შემცველობის შემცირება ერთროციტების მექანიკური სტაბილობის, დეფორმებლობისა და ელასტიურობის დაქვეითების შესახებ მეტყველებს. საშუალო სიმძიმის პაროდონტიტით დაავადებულ პაციენტებში გამოვლენილია პერიფერიული სისხლის ერთროციტების მემბრანული ცილების ელექტროფორეზული მობილობის დაქვეითება, რაც ერთროციტების ადჰეზიურობის ზრდას განაპირობებს. გამოვლენილია უარყოფითი კორელაცია მემბრანული ცილების ელექტროფორეზულ მობილობასა და პაროდონტიტის სიმძიმეს შორის.

5. ლაზერით 7 დღიანი მკურნალობის ფონზე ერთროციტულ მემბრანაში აღდგება აქტინის, 4.9 ზოლის ცილოვანი კომპლექსის შემცველობა, რაც ერთროციტული მემბრანის ციტოჩონჩხის სტრუქტურის აღდგენის შესახებ მეტყველებს; მემბრანული MIRL ცილების შემცველობა და ელექტროფორეზული მობილობა დაქვეითებული რჩება, რაც ერთროციტების დეფორმებლობის უნარიანობის დაქვეითებაზე და გაძლიერებულ ლიზისზე მიუთითებს.

6. პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების პერიფერიული სისხლის ერთროციტებში მცირდება თავისუფალი NO-ს შემცველობა; გამოვლენილია უარყოფითი კორელაცია პაციენტების სისხლში ერთროციტების დეფორმებლობასა და NO-ს შემცველობას შორის. ლაზერით მკურნალობის ფონზე NO-ს მაჩვენებელი არ იცვლებოდა საწყის მაჩვენებლებთან შედარებით.

7. საშუალო სიმძიმის პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების ლაზერით 7 დღიანი მკურნალობის შედეგად მცირდება ანთებითი პროცესების ინტენსივობა, მაგრამ არ სწორდება მიკროცირკულაციის დარღვევები.

8. იმუნური Jurkat და ეპითელური MDCK უჯრედებს ახასიათებს განსხვავებული მდგრადობა (Jurkat უჯრედები გაცილებით უფრო მგრძობიარეა) ოქიდაციური სტრესის მიმართ.

9. ლაზეროთერაპიის ეფექტი დამოკიდებულია უჯრედების პროლიფერაციაზე, უჯრედების ტიპსა და ინკუბაციის პირობებზე:

- ლაზერული სხივები დროდამოკიდებულად ხელს უწყობენ ინტაქტურ Jurkat და MDCK უჯრედების პროლიფერაციის ინტენსიფიკაციას და სიცოცხლისუნარიანობის ზრდას;

- ლაზეროთერაპია მნიშვნელოვნად ზრდის საშუალო ინტენსივობის ოქიდაციური სტრესის პირობებში ინკუბირებული Jurkat უჯრედების

სიცოცხლისუნარიანობას და არაეფექტურია ამ უჯრედების ძლიერი ოქსიდაციური სტრესის პირობებში ინკუბაციის დროს.

- ლაზეროთერაპიის გამოყენება (დაბალი ინტენსივობის ლაზერი) საშუალო სიმძიმის გენერალიზებული პაროდონტიტის კომპლექსური მკურნალობისას საშუალებას იძლევა კონსერვატიული მკურნალობის ეტაპზე მივაღწიოთ რემისიას მოკლე დროში, რასაც ადასტურებს კლინიკური და იმუნოლოგიური კვლევის შედეგები.

პრაქტიკული რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია გავუწიოთ რეკომენდაცია საშუალო სიმძიმის პაროდონტიტით დაავადებულ პაციენტებში ციტოკინების, როგორც სისტემური ანთების მედიატორების, პროფილის ანალიზს ამ დაავადების ადრეული დიაგნოსტიკისა და დამძიმების რისკის დადგენის მიზნით.

კლინიკო-ლაბორატორიული კვლევის შედეგები ადასტურებს ლაზეროთერაპიის მოქმედების ეფექტურობას ეპითელიურ უჯრედებზე და გვაძლევს საშუალებას პრაქტიკული რეკომენდაცია გავუწიოთ მის გამოყენებას თერაპიულ სტომატოლოგიაში საშუალო სიმძიმის პაროდონტიტით დაავადებული პაციენტების პირის ღრუს ეპითელიუმის აღდგენის, მიკროცირკულაციის სტიმულაციის, ანთებისა და შეშუპების საწინააღმდეგო და იმუნური მეტაბოლიზმის მოდულაციის მიზნით.

რეკომენდაციას ვაძლევთ ლაზეროთერაპიის გამოყენებას (დაბალი ინტენსივობის ლაზერით) საშუალო სიმძიმის გენერალიზებული პაროდონტიტის კომპლექსურ მკურნალობაში. ეს მეთოდი მიზანმიმართული და ეფექტურია, რადგან საშუალებას გვაძლევს კომპლექსური მკურნალობის ეტაპზე მივაღწიოთ რემისიას მოკლე დროში.

ლაზეროთერაპია ასევე წარმოადგენს ეფექტურ მეთოდს ალერგიული სტატუსის და სომატური დაავადებების მქონე პაციენტებში, რომლებშიც უკუნაჩვენებია ქირურგიული ჩარევა.

პუბლიკაციები:

1. „ლაზერის ზემოქმედება ერითროციტების დეფორმაბელობაზე პაროდონტიტით დაავადებულ პაციენტებში“.
თ. გაბუნია, მ. მაჭავარიანი, მ. ენუქიძე. თ. სანიკიძე, ნ. ომანაძე.
ჟურ. „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა“ N5. 2015 წ.
2. „Impact of laser treatment on the rheological properties of red blood cells in patients with periodontitis“.
Gabunia T.T., Turabelidze S.D., Gogebashvili N.N., Kipiani N.V., Sanikidze T.V.
ჟურ. „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა“ N1. 2016 წ.
3. „Impact of laser therapy on the proliferation of various cultured cells“.
Gabunia T.T., Turabelidze S.D., Gogebashvili N.N., Kipiani N.V., Sanikidze T.V.
Journal: „Georgian Medical news“ 2016.
4. „ლაზერის ზემოქმედება ციტოკინების ბალანსზე პაროდონტიტით დაავადებულ პაციენტებში“.
თ. გაბუნია, მ. მაჭავარიანი, მ. ენუქიძე. თ. სანიკიძე, ნ. ომანაძე
ჟურ. „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა“ N1. 2016 წ.

დისერტაციის შინაარსი ასახულია 4 მაღალრეიტინგულ ჟურნალში.

David Agmashenebeli University of Georgia

Faculty of Medicine

With the rights of the manuscript

Tea Gabunia

**Some Immunological - Molecular Aspects of Lazer Treatment of
Gingival Tissues**

Nominated for the academic degree of Doctor of Medicine

Dissertation

Tbilisi

2018

24

INTRODUCTION

The relevance of the topic. Inflammatory diseases of the parodontium appear to be an actual problem of dentistry. It is due not only to their wide spread, severity of some forms of this disease and their negative impact on the organism, but also to the necessity of the establishment of these diseases pathogenesis and the development of effective, pathogenetically proved therapeutic schemes.

As a result of the impact of various factors (thermal, chemical, mechanical, toxic, bacterial, etc.) on the parodontium tissues, it becomes possible to initiate the development of inflammatory processes. It is logically revealed in the accumulation of the lymphocytes and macrophages, as well is in an enhanced formation of pro-inflammatory cytokines, the growth factors and reactive compounds of oxygen, the violation of cellular and sub-cellular membranes, the disorder of enzyme complexes and the functions of the systems, and, finally it evokes the damage to oral cavity tissues (T. Jemileva, 1999; G.M. Barrer, 2000; N.F. Danilevskiy, A.V. Borisenko, 2000; M. Stazka, 2000; E.V. Borovskiy, 2003; D.Yu. Orekhova, 2004; I. Erokhin, A.V. Akulovich, 2009).

Among the numerous factors of the parodontium pathogenesis inflamematory diseases, it should be noted the intensification of oxidative stress and the activation of components, composing the immune system, and immunocompetent cells, which, in conditions of the maintenance of normal homeostasis of mucosa, has a leading stimulating and regulatory role.

